

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის  
ოქმი

5 მაისი, 2017 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომა წარიმართა დისტანცურ რეჟიმში

დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა წევრებმა: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დავით ასათიანი, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე, როინ მიგრიაული.**

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: ელდარ ქირია, კონსტანტინე ნადარაია, ლაშა ჩხიკვაძე, თამარი გვასალია, აკაკი მინაშვილი, ირაკლი თავართქილაძე, თამარი წიკლაური, ბესარიონ გასვიანი, თამარ მათიაშვილი, ქეთი ჩუთლაშვილი, კახაბერ ლათიბაშვილი, ნინო ყვინაშვილი, ნიკა ჯერვალიძე, ნინო გაიპარაშვილი, ეკატერინე მარშანია, დავით ჯანიაშვილი, გურამ ხიზანაშვილი, მარიამ თავაური, ანა თავხელიძე, გიორგი გულბანი, ნათია თავბერიძე, ნინო გვარამია, გვანცა კიკაბიძე.
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: მაია ჯავახიშვილი, ვახტანგ ლორთქიფანიძე, გია აბაშიძე, დიმიტრი ბებია, თეიმურაზ ბარაბაძე, ნინო დათუკიშვილი, ლეილა თავამაიშვილი, გიორგი ბარდაველიძე.
3. აკრედიტაციის შესახებ განაცხადის განხილვა (განმცხადებელი: იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თემები: 1. ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავება, კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაული; 2. სამშენებლო-

არქიტექტურული საქმიანობის რეგულირება საქართველოში; 3. უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები;

4. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: მარი რუხაძე, ირაკლი ჩუბინიძე, ნანა ბითაძე, ჯაბა კოჭლამაზაშვილი, თეიმურაზ რიყამაძე, საწევრო დავალიანების მქონე პირები: დავით ღვალაძე, პაატა ხარებავა, ზურაბ ბენიძე, მირზა დევიძე, ეკატერინე მაჩიტაძე, ზაზა მარიდაშვილი, მზია ფუტყარაძე;
5. 2017 წლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტში, სამივლინებო ხარჯიდან 1000 (ათასი) ლარის გამოყოფის შესახებ, მიმდინარე წლის 22 - 23 ივნისს, პოლონეთში, ქ.ვარშავაში, ვარშავის ადვოკატთა ასოციაციის მიერ გამართულ კონფერენციაზე („თანამედროვე ადვოკატთა ასოციაცია“), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ვიზიტის მიზნით, სადაც იგი მომხსენებლის რანგში მიიღებს მონაწილეობას.
6. განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მუხლი 8, პუნქტი 8.3–ში შევიდეს ცვლილება და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*8.3 ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წელს, ადვოკატებმა, სავალდებულო კრედიტ-საათები უნდა დააგროვონ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, მომავალი წევრებისთვის (რომლებიც გაწევრიანებამდე გაივლიან სტაჟირების თეორიული სწავლების კომპონენტს ასოციაციის ბაზაზე) შემუშავებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ.*

7. PROLOG-ის გრანტის შესაბამისად, სტაჟირების სისტემის პილოტური სწავლების მიზნებისთვის, 15 კანდიდატის შესარჩევად, კრიტერიუმად განისაზღვროს კანდიდატების მიერ გამოთქმული სურვილი.

#### პირველი საკითხი:

**გადაწყვეტილება:** საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი შემდეგი განცხადებები გაწევრიანების შესახებ: ელდარ ქირია, კონსტანტინე ნადარაია,ლაშა ჩხიკვაძე, თამარი გვასალია, აკაკი მინაშვილი, ირაკლი თავართქილაძე, თამარი წიკლაური, ბესარიონ გასვიანი, თამარ

მათიაშვილი, ქეთი ჩუთლაშვილი, კახაბერ ლათიბაშვილი, ნინო ყვინაშვილი, ნიკა ჯერვალიძე, ნინო გაიპარაშვილი, ეკატერინე მარშანია, დავით ჯანიაშვილი, გურამ ხიზანაშვილი, მარიამ თავაური, ანა თავხელიძე, გიორგი გულბანი, ნათია თავბერიძე, ნინო გვარამია, გვანცა კიკაბიძე.

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ირაკლი ლორთქიფანიძეს შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

#### მეორე საკითხი:

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები: მაია ჯავახიშვილი, ვახტანგ ლორთქიფანიძე, გია აბაშიძე, დიმიტრი ბებია, თეიმურაზ ბარაბაძე, ნინო დათუკიშვილი, ლეილა თავამაიშვილი, გიორგი ბარდაველიძე.

#### მესამე საკითხი:

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს „იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის“ განაცხადი და მიენიჭოს აკრედიტაცია თემას „1. ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავება, კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაული; 2. სამშენებლო-არქიტექტურული საქმიანობის რეგულირება საქართველოში; 3. უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები;

#### მეოთხე საკითხი:

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარი რუხაძის, ირაკლი ჩუბინიძის, ნანა ბითაძის, ჯაბა კოჭლამაზაშვილის, თეიმურაზ რიჭამაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს საწევროდავალიანების მქონე პირების (დავით ღვალაძე, პაატა ხარებავა, ზურაბ ბენიძე, მირზა დევიძე, ეკატერინე მაჩიტაძე, ზაზა მარიდაშვილი, მზია ფუტკარაძე) განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. აღნიშნულ პირებს წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყდებათ წევრობა.

### მეხუთე საკითხი:

#### გადაწყვეტილება:

2017 წლის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტის სამივლინებო ხარჯიდან გამოყოფილ იქნას 1000 (ათასი) ლარი, მიმდინარე წლის 22 - 23 ივნისს, პოლონეთში, ქ.ვარშავაში, ვარშავის ადვოკატთა ასოციაციის მიერ გამართულ კონფერენციაზე („თანამედროვე ადვოკატთა ასოციაცია“);

### მეექვსე საკითხი:

გადაწყვეტილება: განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-8 მუხლის, 8.3 პუნქტში შევიდეს ცვლილება შემდეგი რედაქციით: „ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წელს, ადვოკატებმა, სავალდებულო კრედიტ-საათები უნდა დააგროვონ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, მომავალი წევრებისთვის (რომლებიც გაწევრიანებამდე გაივლიან სტაჟირების თეორიული სწავლების კომპონენტს ასოციაციის ბაზაზე) შემუშავებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ“ (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან).

### მეშვიდე საკითხი:

გადაწყვეტილება: PROLOG-ის გრანტის შესაბამისად, სტაჟირების სისტემის პილოტური სწავლების მიზნებისთვის, 15 კანდიდატის შესარჩევად, კრიტერიუმად განისაზღვროს კანდიდატების მიერ გამოთქმული სურვილი.

*გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.*

### ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის თავმჯდომარე